დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №39
2025 წლის 24 დეკემბერი
ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, განაკვეთების განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/08/2023; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.156.016488) და დადგენილების მე-3 მუხლით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების განაკვეთები“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველ იანვარიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

დანართი N2

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთები			
№	დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები	ზომის ერთეული	მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე (ლარი)
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გალერეები, არქივები	საერთო ფართის 1მ²	0.05
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ²	0.4
3	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ²	1.0
4	კინოთეატრები და თეატრები, საკონცერტო დარბაზები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.2
5	მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები, უმწეოთათვის უფასო სასადილოები	მომსახურების ერთი ადგილი	0.1
6	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები	ერთ მოსწავლეზე	0.25
7	სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	3
8	საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები	ერთი საწოლი	1.5
9	პოლიკლინიკები, სამედიცინო-დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმების სტომატოლოგიური და სამედიცინო კაბინეტები	საერთო ფართის 1მ²	0.25
10	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები და მანეჟები, კორტები, საცურაო აუზები	ღია ფართის 1მ²	0.05
		დახურული ფართის 1მ²	0.1
11	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზები)	სამუშაო ფართის 1მ²	0.5
12	ქსელური სასურსათო მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ²	1.0
13	სამრეწველო საქონლის მაღაზიები, აფთიაქები, საიუველირო ანტიკვარიატის მაღაზიები, ზოომაღაზიები (სავაჭრო დარბაზები), ვეტერინარული ცენტრები	სამუშაო ფართის 1მ²	0.5
14	აგრარული ბაზრები, ყვავილების დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1მ²	0.005

15	შერეული საქონლის ბაზრობები	სამუშაო ფართის 1მ²	0.14
16	საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები	სამუშაო ფართის 1მ²	0.2
17	ავტოსადგომები და საწყობები	ღია ფართის 1მ²	0.03
		დახურული ფართის 1მ²	0.1
18	ავტოგასამართი სადგურები	სამუშაო ფართის 1მ²	0.2
19	სათბურები და ფერმები	დახურული ფართის 1მ²	0.1
20	სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები	სამუშაო ფართის 1მ²	0.5
21	შავი და ფერადი ლითონის მიმღები პუნქტები	სამუშაო ფართის 1მ²	0.25
22	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1მ²	0.3
23	სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრები	საერთო ფართის 1მ²	0.5
24	სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1მ²	0.4
25	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	1
26	სარიტუალო დარბაზები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.1
27	საცხობები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე	სამუშაო ფართის 1მ²	0.25
28	დისკოტეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1მ²	0.5
29	ავტოსადგურები	ღია ფართის 1მ²	0.01
		დახურული ფართის 1მ²	0.02
30	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1მ²	0.02
31	სამხედრო ნაწილები და პენიტენციური სისტემები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	1.4
32	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1მ²	0.015
33	მსხვილი სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1მ²	0.08

34	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირებისათვის (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით)	ერთ სულ მოსახლეზე	1.0